ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 125

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ: 404502098) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ: 404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.494.630 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართის (დანართი 1-ით წარმოდგენილი დაშტრიხული ნახაზის შესაბამისად), პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის" (ს/ნ: 404502098) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს უძრავი ქონების საიჯარო ქირის წლიური საფასური - 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე